საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №81/04
2012 წლის 10 აგვისტო

ქ. თბილისი

„კომერციული ბანკების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დაკისრების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2009 წლის 25 დეკემბრის №242/01 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის და 67-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„კომერციული ბანკების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დაკისრების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2009 წლის 25 დეკემბრის №242/01 ბრძანებით დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **მე–2 მუხლის მე–8 პუნქტს დემატოს შემდეგი რედაქციის „ზ“ ქვეპუნქტი:**

„ზ)კომერციული ბანკი ან მისი ადმინისტრატორი, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ბანკის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული შიდა კონტროლის პროცედურისა და წესების მიღებას და/ან აღნიშნული შიდა კონტროლის პროცედურისა და წესების დაცვას, დაჯარიმდება 2 000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.“.

2. **მე–2 მუხლის 8^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„8^1. ეროვნული ბანკის მოთხოვნებისა და/ან წერილობითი მითითებების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევაში კომერციული ბანკი დაჯარიმდება 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით.“.

3. **მე–2 მუხლის 8^1 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი რედაქციის 8^2 პუნქტი:**

„8^2. ეროვნული ბანკის მოთხოვნებისა და/ან წერილობითი მითითებების მრავალჯერადი შეუსრულებლობის შემთხვევაში კომერციული ბანკი დაჯარიმდება 20 000 (ოცი ათასი) ლარის ოდენობით.“.

მუხლი 2

ამ ბრძანების დაუყოვნებელი ამოქმედება განპირობებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკების ზედამხედველობის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საქართველოს ეროვნული ბანკის
პრეზიდენტი **გიორგი ქადაგიძე**